

მეცნიერის არქივიდან

პროფესორი მიხეილ ჩხაიძე - 120 (1905-1988)

*პუბლიკაცია მოამზადა, წინასიტყვაობა და კომენტარები
დაურთო ნიკოლოზ ნახუცრიშვილმა*

2025 წლის 15 აპრილს სრულდება 120 წელი გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერის, ფინურ-უგორული ენების აღიარებული სპეციალისტის, საქართველოში მანქანური თარგმანის ერთ-ერთი ფუძემდებლის, პროფესორ მიხეილ პავლეს ძე ჩხაიძის დაბადებიდან.

მისი ცხოვრება და მოღვაწეობა აღსავსე იყო მრავალფეროვანი მოვლენებითა და ისტორიებით, რაც მოკლედ ასე შეიძლება გადმოიცეს:

მამათელი ღარიბი გლეხის ოჯახში გატარებული ბავშვობა, ლანჩხუთის ათწლედი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა (1924-1926 წწ.), აკადემიკოს ნიკო მარის ინიციატივით სწავლის გაგრძელება ლენინგრადის უნივერსიტეტში (1926-1930 წწ.), იქვე ასპირანტურის გავლა და დახელოვნება ზოგადი ენათმეცნიერების, ფინურ-უგორული ენებისა და რუსისტიკის განხრით (1930-1933 წწ.), საკანდიდატო დისერტაციის დაცვა (1936 წ.), მუშაობა საკავშირო აკადემიის ნ.მარის სახელობის ენისა და აზროვნების ინსტიტუტში (1934-1941 წწ.), ლენინგრადის უნივერსიტეტის ლექტორობა (1931-1941 წწ.), სამამულო ომში მოხალისედ წასვლა ლენინგრადის ფრონტზე (1941-1942 წწ.), ტყვედ ჩავარდნა და გერმანული საკონცენტრაციო ბანაკი (1942-1944 წწ.), ტყვეობიდან გაქცევა და პატიზანობა საფრანგეთის ტერიტორიაზე (1944-1945 წწ.), თარჯიმნად მუშაობა ქ. ტულუზაში დისლოცირებულ პირველ საბჭოთა პარტიზანულ პოლკში (1945 წ.), დაბრუნება საბჭოთა კავშირში, დაპატიმრება ტყვეობაში ყოფნის ბრალდებით და 10-წლიანი პატიმრობის მისჯა (1945-1954 წწ.), განთავისუფლება პატიმრობიდან და სრული რეაბილიტაცია (1954-1955 წწ.), თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგეობა (1954-1960 წწ.), პედაგოგიური საქმიანობის გაგრძელება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრაზე (1960-1961 წწ.), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი ცენტრის უფროსი მეცნიერმუშაკი (1961-1978 წწ.), სადოქტორო დისერტაციის დაცვა მოსკოვში (1966 წ.), აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგიის განყოფილების მკვლევარი (1978 წლიდან გარდაცვალებამდე - 1988 წ.).

ამ სტრიქონების ავტორს პატივი ჰქონდა, 1982 წლიდან პროფ. მ. ჩხაიძისაგან ესწავლა ფინური ენა. ჩემთვის უაღრესად საინტერესო ეს რამდენიმეწლიანი ურთიერთობა გასცდა ფინური ენის სწავლებას. ბატონი მიხეილი მიყვებოდა აკად. ნ. მარის მოწაფეობის პერიოდზე, მისი ენობრივი მოძღვრების შესახებ, ენობრივი ურთიერთობების აქტუალურ საკითხებზე და ა.შ. ჩემთვის ცხადი იყო, რომ ბატონი მიხეილის ცხოვრებისეული გზა და მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა

იმსახურებდა გაცილებით მეტ ყურადღებასა და დაფასებას, ვიდრე იგი მოესწრო თავის სიცოცხლეში. მართალია, ქართულ პრესაში იბეჭდებოდა ცალკეული წერილები და გამოხმაურებები პროფ. მ. ჩხაიძის სამეცნიერო მიღწევების შესახებ¹, მაგრამ ისინი აკადემიური დონითა და რეზონანსით ვერ გაუტოლდებიან საქართველოს ფარგლებს გარეთ დაბეჭდილ წერილებს ამ მრავალმხრივი მეცნიერის შესახებ. მაგალითად, მისი დაბადების 110 წლისთავს მიეძღვნა გ. ლავრენტიევის და ო. ა. სერგეევის წერილები პრესტიჟულ ჟურნალებში „Linguistica Uralica“ და «Финно-угроведение»². განსაკუთრებით აფასებენ პროფ. მ. ჩხაიძის ღვაწლს რუსეთის ფედერაციის მართვის რესპუბლიკაში.³

პროფ. მ. ჩხაიძის გარდაცვალების შემდეგ (1988 წ.) ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა და მოულოდნელმა ცვლილებებმა ღვაწლმოსილი მკვლევრის სამეცნიერო მემკვიდრეობის პოპულარიზაციის თემა ძალაუვნებურად უკან გადასწია და მას მხოლოდ 2015 წლიდან დაუბრუნდი. მომეცა საშუალება, გავცნობოდი პროფ. მ. ჩხაიძის ერთადერთ ვაჟს, აწ გარდაცვლილ ბატონ ალბერტსა (1940-2018) და მის მშვენიერ ოჯახს. ბატონ ალბერტთან ერთად დავიწყეთ მუშაობა პროფ. მ. ჩხაიძის არქივზე, რომელშიც მრავლად იყო ფართო სამეცნიერო საზოგადოებისათვის უცნობი მასალები. არჩევანი შევაჩერეთ ბატონი მიხეილის გამოუქვეყნებელ ნაშრომზე «Яфетидология или учение о происхождении языка по Н. Я. Марру (глазами его ученика)», რომელშიც ავტორი მაქსიმალურად გასაგებად, შეიძლება ითქვას, თანამედროვე მკითხველისათვის მისაღები ენით, კომპაქტურად გადმოსცემდა აკად. ნ. მარის ენობრივი მოძღვრების ძირითად პრინციპებს. ამ შრომატევად სამუშაოში ჩაერთო ილიუნიის სოციალური და კულტურის კვლევების ინსტიტუტიც. საქმე კარგად მიდიოდა წინ და გამოსაცემი ნაშრომითა და თანმხლები საარქივო მასალებით მივმართეთ ილიაუნის გამომცემლობას. ამ ტექნიკურ ეტაპზე მოგვისწრო კოვიდპანდემიამ, პანდემიის შეზღუდვების მოხსნის შემდეგ კი, უკანასკნელ წლებში დაგროვილი სამეცნიერო პროექტების დასრულების აუცილებლობამ და ასევე სხვა გაუთვალისწინებელმა პრობლემებმა კვლავ შეგვაფერხეს.

დღეისათვის გადაწყვეტიტ გვეთქმის, რომ პროფ. მ. ჩხაიძის ეს ნაშრომი და თანმხლები საარქივო მასალა დაიბეჭდება საიუბილეო 2025 წლის განმავლობაში, რითაც სამეცნიერო საზოგადოებას (არა მხოლოდ საქართველოში) კიდევ ერთხელ წარმოუდგება თვალწინ ამ დიდი ადამიანისა და მეცნიერის ღვაწლი.

¹ იხ. პროფ. მ. ჩხაიძის ქვემოთმოყვანილი წერილი „ენათმეცნიერების რა დარგებში ვმუშაობდი“.

² Г. Лаврентьев, “К 110-летию со дня рождения М. П. Чхаидзе (1905—1988)”, *Linguistica Uralica* LI 2016, 2, стр.155-156. https://kirj.ee/public/Linguistica_Uralica/2016/issue_2/ling-2016-2-155-156.pdf;

Сергеев О.А. , “Чхаидзе Михаил Павлович – исследователь марийского языка (к 110-летию со дня рождения”. *Финно-угроведение*, 2015, N2, (54), стр. 88-91 <https://marnii.ru/upload/medialibrary/6e4/vyik0wwlg17l2xjpsz9tpvrmtf6xgb9.pdf>

³ О. А. Сергеев, «Чхаидзе Михаил Павлович (1905-1988)» // История марийского края в лицах. 1917-1940. – Йошкар-Ола, 2017. – С. 362-364;

პუბლიკაცია მარის რესპუბლიკის ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე «Национальная библиотека имени С.Г.Чавайна» Республики Марий Эл : ОНИ ПРОСЛАВИЛИ НАШ КРАЙ. Профессор Михаил Павлович Чхаидзе (21.02.2022), <https://nbmariel.ru/content/oni-proslavili-nash-kрай-professor-mihail-pavlovich-chhaidze>

ამჯერად გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალისთვის დასაბეჭდად გამზადდა ბატონი მიხეილის ხელნაწერი სათაურით „ენათმეცნიერების რა დარგებში ვმუშაობდი“. მკითხველისათვის საინტერესო უნდა იყოს, თუ როგორ ახასიათებს იგი საკუთარ სამეცნიერო საქმიანობას.


გასათვალისწინებელია, რომ ხელნაწერი არაა დათარიღებული, თუმცა ტექსტიდან ჩანს, რომ ის მოიცავს მეცნიერის მოღვაწეობის პერიოდს 1985 წლამდე.

მცირე კორექტურის გარდა, ტექსტი ფაქტიურად უცვლელადაა გადმოტანილი, მაგრამ საჭირო გახდა სქოლიოში გარკვეული შენიშვნებისა და შესწორებების დამატება, რადგანაც ზოგიერთ შემთხვევაში უკვე დრამად მოხუცებული ავტორი უნებლიედ არასრულად ან შეცდომით უთითებს ამა თუ იმ ნაშრომის სათაურსა თუ გამოცემის წელს. ამ სქოლიოების დამატებით კი მკითხველს საშუალება მიეცემა, დაინტერესების შემთხვევაში თავად მოიძიოს პროფესორ მიხეილ ჩხაიძის მრავალფეროვანი სამეცნიერო მემკვიდრეობის ნიმუშები ბიბლიოთეკებში თუ ინტერნეტში.

აქვე ვაქვეყნებთ პროფ. მ. ჩხაიძის მიერ 1985 წლის 25 მარტს ხელით დაწერილ ავტობიოგრაფიასაც.



მიხეილ ჩხაიძე
(1936, ლენინგრადი)



მიხეილ ჩხაიძის უკანასკნელი
ფოტო

ენათმეცნიერების რა დარგებში ვმუშაობდი

მე ნიკო მარის გაზრდილი ვარ და, ალბათ, მისი ზეგავლენით სტუდენტობის დროიდანვე დავისახე მიზნად შემესწავლა ენა ფართო დიაპაზონით, რომ რაც შეიძლება დრამად ჩავწვდომოდი მისი არსის საკითხებს. ამან მოითხოვა სხვადასხვა ჯგუფის ენების შესწავლა და მათი დაპირისპირება, ამასთან ერთად ენათმეცნიერული დარგების მეცნიერული შესწავლა და გააზრება.

ალბათ, ძნელად მოიძებნება მეცნიერი მუშაკი, რომელსაც შეუძლია თავისი მოღვაწეობის პერიოდში თქვას - მე ყველაფერი გავაკეთე, რაც მსურდაო. მით უმეტეს, მე ვერ ვიტყვი ამას, რაშიც ნაწილობრივ მე ჩემს ბედს ვემდური: სამამულო ომთან დაკავშირებით, რომლის მონაწილეც მე გახლდით, 15 წლის მანძილზე აღმოვჩნდი ჩემს სპეციალობას მოწყვეტილი... ამ გარემოებამ განსაკუთრებით იმოქმედა იმაზე, რომ ჩემს ნამუშევრებს აკლია ის სიღრმე, რომელიც შეიძლებოდა ჰქონოდა მათ უკეთეს პირობებში.

მე ვმუშაობდი ენათმეცნიერების შემდეგ დარგებში: 1. ურალისტიკა (ფინეთ-უნგრეთმცოდნეობა); 2. რუსისტიკა; 3. ზოგადი ენათმეცნიერება; 4. ქართველოლოგია; 5. მანქანური თარგმანი.

I ურალისტიკა

დავიწყე ერთ-ერთი ურალური ენიდან (მე უმაღლესი განათლება ლენინგრადში მივიღე), სახელდობრ, მარიულიდან, რომელიც ვოლგისპირეთში მცხოვრები მარიელების ენაა... ამ ენას მიეძღვნა 60-მდე ნაშრომი, მათ შორის უმნიშვნელოვანესი მონოგრაფია სამია:

1. „ზმნის აგებულება მარიულში“ (Спряжение глаголов в марийском языке). საკავშირო აკადემიის გამომცემლობა, ლენინგრადი, 1939, 15 თაბახი.⁴

2. „მარიული ენის სინტაქსი“ (Синтаксис марийского языка), მოსკოვი, 1941.⁵ სახელმძღვანელო.

3. „შეწყვილებული ზმნები მარიულ ენაში“ (Спаренные глаголы в марийском языке), იოშკარ-ოლა, 1960, 10 თაბახი.⁶

სამივე ნაშრომს, როგორც ამოსავალს, ხმარობენ ჩემ შემდგომინდელი სპეციალისტები თავიანთ კვლევა-ძიებაში. ჩემი მარიული სინტაქსი იხმარება, როგორც ყველაზე სრული სახელმძღვანელო, მარეთის უნივერსიტეტსა და პედაგოგიკურ ინსტიტუტში. მარიული ენის შეწყვილებული ზმნებისადმი მიძღვნილი

⁴ ნაშრომის სრული მონაცემებია: Спряжение глаголов в марийском языке в свете стадийного развития речи / М. П. Чхаидзе. — Москва. — Ленинград : Издательство Академии наук СССР, 1939. — 112 с.

⁵ ნაშრომის სრული მონაცემებია: Чхаидзе, М.П. Синтаксис лугово-восточного марийского языка, Ин-т языка и мышления им. Н.Я. Марра АН СССР ; Марийский науч.-исслед. ин-т соц. культуры. - М.: Госучпедиздат Наркомпроса РСФСР, 1941. - 156 с. <http://heritage.jssc.ru/Catalog/ShowPub/7844?lg=en>

⁶ М. П. Чхаидзе. Спаренные глаголы в марийском языке. ЙошкарОла, 1960.

დადებითი რეცენზია გამოაქვეყნა გერმანელმა გიუნტერ სტიპამ საერთაშორისო მიმოხილველ ჟურნალში *Current Trends in Linguistics* ინგლისურ ენაზე⁷. ამ ჩემს ნაშრომს მიუთითებს მრავალი ურალისტი და თურქოლოგი თავიანთ ნაშრომებში. შეწყვილებული ზმნების პრობლემას ვეხები სხვა ნაშრომებშიც, რომლებიც გამოიცა ინგლისურსა და გერმანულ ენებზე. ერთ-ერთ მათგანზე გამოხმაურება დაბეჭდა გაზ. „თბილისმა“ სათაურით „ქართველ მეცნიერის ნაშრომი გერმანულად“ (14/V-1979).

II რუსისტიკა

რუსისტიკას და საერთოდ სლავისტიკას მე ვეზიარე ლენინგრადში აკადემიკოსების ლ. შჩერბასა და ლ. ობნორსკის ხელმძღვანელობით. უშუალოდ იქ მიღებული ცოდნის გამოყენება და რუსული ენის მეცნიერული ანალიზი შეძლებისდაგვარად ჩავატარე ორმოცდაათიან წლებში, როდესაც თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში ვმუშაობდი რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგედ (1954-1960).

ყველაზე მნიშვნელოვან ნაშრომად მიმაჩნია შემდეგი:

1. „ბუნდოვანი ადგილების გაგებისათვის რუსულ ისტორიულ წყაროში (XII საუკუნე) „იგორის ლაშქრობის ამბავი“. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტომი 98, 1964.⁸

შრომამ მაღალი შეფასება დაიმსახურა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწყობილ რუსული ლიტერატურული ენის ისტორიისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმზე. მისმა თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა დ. ს. ლიხაჩევმა განაცხადა, რომ საქართველოდან, რუსისტი პროფესორი ვანო მადურის გარდა, მნიშვნელოვანი წვრილი შეიტანა რუსისტიკაში პროფესორმა მ. ჩხაიძემ იმით, რომ გააანალიზა ბუნდოვანი ადგილები ჩვენს ისტორიულ ძეგლში „იგორის ლაშქრობის ამბავი“.

2. „რუსული ენის ზმნური მართვის ამსახველი ცნობარის შედგენის პრინციპები“ (О принципах составления справочника по глагольному управлению в русском языке), თელავის პედინსტიტუტის „შრომები“, 1957. ჩემს მიერ ამ ნაშრომში შემოთავაზებული პრინციპების გამოყენებით თსუ-ს პროფესორმა ი. ცერცვაძემ შეადგინა თავისი ცნობილი ცნობარი (Словарь русских словосочетаний)... 1980, 40 თაბახი.⁹

⁷ ავტორი უნდა გულისხმობდეს ამ სერიით 1963 წელს გამოცემულ კრებულს *Soviet and East European Linguistics*, რომლის პირველ თავში *SELECTED TOPICS IN SOVIET LINGUISTICS* დაბეჭდილია გიუნტერ სტიპას (Günter J. Stipa) „Uralica“ - საბჭოთა ურალისტიკის მიმოხილვა (გვ.392-476),

<https://www.degruyter.com/document/doi/10.1515/9783110814620/html>;
<https://doi.org/10.1515/9783110814620-020>

⁸ რუსულ ენაზე დაწერილი ამ სტატიის სრული მონაცემებია: К толкованию одного места в «Слове о полку Игореве» («растѣкашется мыслию по древу»). *Труды Тбилисского Университета*, т.98, 1964, стр.271-276.

⁹ Церцвадзе И.И. *Словарь русских словосочетаний с зависимой управляемой формой и их грузинских эквивалентов*. Тбилиси. Изд-во Тбилисского университета 1980г. 712 с.

III ზოგადი ენათმეცნიერება

ამ დარგიდან მე ვეხები უმთავრესად უძველეს საფეხურებს ენების განვითარებისა და იმ დროისათვის გამოსაყენებელ პალეონტოლოგიურ მეთოდს. ამ ხაზით ჩემი სამი ნაშრომი მიმაჩნია მნიშვნელოვნად:

1. „ენის პალეონტოლოგია და პალეონტოლოგიური მეთოდი“ (Палеонтология речи и палеонтологический метод) პირველად ლენინგრადში გამოიცა რუსულად კრებულში „იაზიკ ი ისტორია“, 1936 წელი, შემდეგ ითარგმნა და გამოიცა ქართულადაც.¹⁰

2) „იაფეთილოლოგიის მარქსისტული საფუძვლების შესახებ“. თბილისი, უნივერსიტეტი, 1937 წელი.¹¹

3) ენათა ურთიერთინტერფერენციის პრობლემა (Проблема межъязыковых интерференций). იბეჭდება 1985 წელში საგამომცემლო გეგმის შესაბამისად. ეს საკითხი განხილულია სხვადასხვა ჯგუფის ენების მასალის საფუძველზე.¹²

IV ქართვოლოგია

ამ ხაზით ჩემი ნაშრომებიდან გამოვყოფ ორს:

1. ქართული ზმნების ფორმალიზაციის გზების ძიება. „მაცნე“, N3, 1979 წელი.¹³

2. „გრამატიკული კვლევის ორი ასპექტის შესახებ“ (О двух аспектах исследования грамматики) ქართული ზმნების მასალაზე. ჟურნალი „კოპროსი იაზიკოზნანია“, N2, მოსკოვი 1979 წელი.¹⁴ აქ ვეხები დღემდე საკამათო საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გავიგოთ სუბიექტური და ობიექტური აგებულებების ზმნების თანაარსებობა ქართულში („ვხატავ - მხატავს“ და „მსურს - ვსურვარ“). შემოთავაზებულია მათი გაგების ახალი მეთოდი.

V მანქანური თარგმანი

მანქანური ანუ ავტომატური თარგმანი ახალი დარგია, წარმოიშვა ჩვენი საუკუნის მეორე ნახევარში. პირველად ექსპერიმენტი, როდესაც კიბერნეტიკულმა

¹⁰ სტატიის ზუსტი თარიღი და მისამართი: Язык и история. Сборник первый. Государственная академия истории материальной культуры им. Н. Я. Марра. — Ленинград: ОГИЗ; Государственное социально-экономическое издательство, Ленинградское отделение, 1936. — 242 с. მ. ჩხაიძის სტატია - გვ. 203-223.

https://archive.org/details/Yazyk_i_istoriya_sb_1/page/5/mode/2up. სტატიის ქართულ ვერსიას ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ.

¹¹ ეს ნაშრომი მ. ჩხაიძეს შეტანილი აქვს საკუთარი ხელით შევსებულ ბიბლიოგრაფიაში რუსულ ენაზე სათაურით «О марксистских основах языкознания», Тбилиси, Госунт, 1937. 4 печатных л. (на груз. языке). ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1937.

¹² ბროშურა დაიბეჭდა ამ ტექსტის შედგენის შემდეგ: Проблема межъязыковых интерференций: по данным интерференций между тюркскими, финно-угорскими и некоторыми другими языками. Мецниереба, 1985, 48 стр.

¹³ სრული სათაური: ქართული ზმნების ფორმალიზაციის გზების ძიება (წინასწარი შედეგები). მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია 3, #1979, გვ. 74-89.

¹⁴ Вопросы языкознания, 1979. N2, стр. 122-134. <https://vja.ruslang.ru/archive/1979-2.pdf>

მანქანამ თარგმნა 12-სიტყვიანი წინადადება ინგლისურიდან რუსულზე, ჩატარდა მასაჩუსეტში (აშშ) 1954 წელს. შემდეგ გამოიჩინა, რომ ამ საქმის განხორციელებას ბევრი სიძნელე ახლავს, რომლებიც მოითხოვს მრავალმხრივი და შრომატევადი სამუშაოების ჩატარებას, რომ მანქანამ ხეირიანი თარგმანი მოგვცეს. მუშაობა გრძელდება, პერსპექტივაშია მინიმუმი ერთი საუკუნე დრო მის განსახორციელებლად.

საქართველოში მე ვარ ამ საქმის ერთ-ერთი პიონერთაგანი... ამ დარგში გამოქვეყნებული მაქვს ორი მონოგრაფია და რამდენიმე სტატია.

1. „ავტომატური თარგმანი“. თბილისი, უნივერსიტეტი 1981, 11 თაბახი. წერილობითი გამომხატულება მასზე დაბეჭდა პროფესორმა გ.მახარაბლიძემ გაზეთში „თბილისი“ (14.08.1982)¹⁵, ხოლო ზეპირად თქვა მასზე აკადემიკოსმა არნ. ჩიქობავამ უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე შემდეგი: „ამ ნაშრომით მ.ჩხაიძემ შეავსო ის ხარვეზი, რაც ქართულ ენათმეცნიერებას გააჩნდა, როგორც ნაკლი, ზოგადი პრობლემების უახლესი მიმართულებების გაშუქებაში“.

2. „კიდევ ერთხელ მანქანურ თარგმანზე არსებული მითებისა და სინამდვილის შესახებ“ (Ещё раз о мифах и правде машинного перевода).¹⁶ ჟურნალი „კოპროსი იაზიკოზნანია“ N 5, 1976. იმავე წელს იმავე ჟურნალში გამოქვეყნდა პროფესორ რ. გ. პიოტროვსკის გამომხატულება, სადაც ის მიესალმება ჩემი წერილის გამოქვეყნებას.¹⁷

3. ქართული სინთეზის ალგორითმი რუსულიდან მანქანური თარგმნისას“ (Алгоритм грузинского синтеза при машинном переводе с русского языка). თბილისი, „მეცნიერება“, 1968 წელი. 12 თაბახი. ამ წიგნზე გამომხატულება დაბეჭდა ენათმეცნიერმა პერცოვმა მოსკოვში ჟურნალ „ნაუჩნო-ტექნიჩესკაია ინფორმაციაში“ სერია 2 N11, 1970 წელს,¹⁸ სადაც ამბობს: „ჩხაიძის ნაშრომის მანქანაზე შემოწმების საშუალება მე არ მქონია, ეს დიდ დროს მოითხოვს ხოლმე, ხოლო ნაშრომის გარჩევისას ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასში მოცემულმა ღრმად შინაარსიანი ენათმეცნიერული იდეების სიუხვემ.“ (იხილეთ აგრეთვე გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ 16.04.1971).

4. „ქართული ზმნების ავტომატური ლექსიკონი“¹⁹. 25 თაბახი. ჯერ არ დაბეჭდილა, ხოლო მასზე რეპორტაჟი დაბეჭდა „საქინფორმმა“ (იხილეთ გაზეთი „კომუნისტი“ 08/04/1981).

¹⁵ გ.მახარაბლიძე, „მთარგმნელთა დასახმარებლად“, გაზეთი „თბილისი“, 1982 წლის 14 აგვისტო.

¹⁶ *Вопросы языкознания*, 1976. N5, стр.50-57. <https://vja.ruslang.ru/archive/1976-5.pdf>

¹⁷ ამ გამომხატულების სრული სათაური და ზუსტი მისამართია: Пиотровский, Р.Г., Бектаев, К.Б., Машинный перевод: теория, эксперимент, внедрение. *Вопросы языкознания*, 1977. N5, стр.27-33.

¹⁸ Перцов, Н.В., Рецензия на книгу М. П. Чхаидзе «Алгоритм грузинского синтеза при машинном переводе с русского языка» // *Научно-техническая информация*, сер. 2, 1970, № 11, с. 29–31.

¹⁹ საარქივო მასალის მიხედვით (მიხეილ ჩხაიძის წერილი საკავშირო აკადემიის ციმბირის განყოფილებას - 28.10.1986), ეს ნაშრომი უნდა დაბეჭდილიყო 1987 წელს თსუ-ს გამომცემლობაში. სამწუხაროდ, სადღეისოდ ის არ იძებნება არც მეცნიერის პირად არქივში და არც თსუ-ს გამომცემლობაში.

გარდა ენათმეცნიერებისა, მაქვს ნარკვევები ფოლკლორში:

1. „კახური რევოლუციური ლექსები“. ლენინგრადი, საკავშირო აკადემიის ჟურნალი „სოვეტსკი ფოლკლორ“ 1938, N6.²⁰

2. „ხომატიანი“ (კახური თქმულება ვეშაპთმბრძოლ გმირ ხომატზე). თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის „შრომები“, 1959, N3.²¹ შემოკლებით დაიბეჭდა „მნათობში“, 1957, N6.²²

3. ფინური ეპოსის „კალევალას“ ქართული თარგმანის გამო“ („მნათობი“ 1972, N5)²³

და სხვა.

მარეთის რესპუბლიკის კვლევითი ინსტიტუტის მარიული სექტორის გამგე ნ. ისანბაევი გაზეთ „მარიისკაია პრავდას“ 1982 წლის 18 თებერვლის ნომერში იუწყებოდა, რომ ქართველ მეცნიერს მ. ჩხაიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის მარიული ლიტერატურული ენის ჩამოყალიბებაში (სტატიის სათაურია „სოვმესტნიე პუტი პოზნანია“). ამ წერილის შესახებ „საქინფორმი“ ვრცლად იუწყებოდა რეპორტაჟებში „ხალასი ნიჭი“ („ახალგაზრდა კომუნისტი“, 04.05.1982) და „სჩასტლივი დარ“ („ვეჩერნი თბილისი“, 24.04.1982).

თავის ნარკვევებში ნ. ისანბაევი გულისხმობს უმთავრესად ჩემს მუშაობას იმ პერიოდში (ოცდაათიანი წლები), როდესაც რუსეთში ახალდამწერლობიან ერებში მიმდინარეობდა მუშაობა სალიტერატურო ენის შექმნაზე და, როგორც ცნობილია, სწორედ ოცდაათიანი წლების ბოლოს ჩამოყალიბდა კიდევ სალიტერატურო ენები, როგორიცაა მარიული, მორდოვული, ჩრდილოკავკასიური და მრავალი სხვა. ამ საქმის მეცნიერული ხელმძღვანელობა მინდობილი ჰქონდა საკავშირო აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტს, სადაც მე ვმუშაობდი. აკადემიამ მე გამომყო ამ საქმეში მეცნიერ-კონსულტანტად მარიული, უდმურტული, მორდოვული ენების „ენობრივი მშენებლობის“ ხაზით და მთელი ოცდაათიანი წლების მანძილზე ვხელმძღვანელობდი ამ საქმეს.

სადოქტორო დისერტაცია დავიცავი მოსკოვში საკავშირო აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში 1966 წელს. ამასთან დაკავშირებით გაზ. „თბილისმა“ გამოაქვეყნა მ. ჯაყელის მიმოხილვითი სტატია ჩემზე სათაურით „ლინგვისტი და პოლიგლოტი“ (05.07.1968), რომელიც მთავრდება შემდეგი სიტყვებით „...ერთი სიტყვით, მისი სახით გვყავს ლინგვისტიცა და პოლიგლოტიც, ვისი სახელითაც ჭეშმარიტად უნდა ამაყოფიერდეს ჩვენი ერი. ეს მეცნიერია მიხეილ ჩხაიძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი...“

²⁰ პუბლიკაციის ზუსტი და სრული მისამართია: М.П.Чхаидзе, Кахетинские революционные песни - Советский фольклор. Сборник статей и материалов. Вып. 6 / АН СССР. Институт этнографии. Фольклорная комиссия; отв. ред. М. К. Азадовский – М.; Л. : Изд-во АН СССР, 1939. – 226 с. – (Советский фольклор). стр.112-121.

²¹ პუბლიკაციის ზუსტი და სრული მისამართია: „ხომატიანი (ხალხური ვერსიები ვეშაპთმბრძოლ გმირ ხომატზე და მისი წარმოშობა“. ი.გოგებაშვილის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 1959, N3, გვ.537-578.

²² https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/17021/1/Mnatobi_1957_N06.pdf, გვ.145-150.

²³ https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/19410/1/Mnatobi_1972_N05.pdf, გვ.186-189.

പ്രകൃതിദൈവം

Abundanz 2020, 2021, 2022

[illegible]

